

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის ამჟამად არსებული სახით

ჩამოყალიბებამდე პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თაობაზე

კანონმდებლობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი

პოლიკარპე მონიავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი,

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2024.09.01.11>

### აბსტრაქტი

ნაშრომის, რომლის დასახელებაა - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის ამჟამად არსებული სახით ჩამოყალიბებამდე პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თაობაზე კანონმდებლობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი“ შექმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა, ადამიანისთვის მათი უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, ქართულ სინამდვილეში, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული სირთულეებით ხასიათდებოდა, კერძოდ მას შემდეგ რაც დეკრიმინიზირებული იქნა შეურაცხყოფა, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, გარკვეული წლების მანძილზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლეოდა შეურაცხყოფით შელახული პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესაძლებლობას. მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა მას შემდეგ რაც 2004 წელს ცვლილება შევიდა სამოქალაქო კოდექსის 18.2-ე მუხლში და ამ ნორმამ დაუშვა ამ მიმართებით სხვა საკანონმდებლო აქტების გამოყენების შესაძლებლობა. თუმცა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონმა ისევე, როგორც სხვა არაერთმა ნორმატიულმა აქტებმა ბოლომდე ვერ გადაწყვიტა ეს პრობლემა, რადგან იგი იძლევა შეურაცხყოფით ხელყოფილი პატივის და ღირსების დაცვის შესაძლებლობას მხოლოდ მაშინ თუ პირისპირ შეურაცხყოფას აქვს ადგილი, რის გამოც საჭიროა არსებული კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა.

საკვანძო სიტყვები: პირადი, არაქონებრივი, პატივი, ღირსება, საიდუმლოება, ხელშეუხებლობა, დაცვა.

**Before the formation of Article 18.2 of the Civil Code of Georgia in its current form, some aspects of the development of legislation on the protection of personal non-property rights**

**Polikarpe Monyava, Doctor of Law, Professor,**

**Davit Agmashenebeli University of Georgia**

#### Abstract

The work of Polikarpe Monyava, which has a title -&quot;Some aspects of the development of legislation on the protection of personal non-property rights before the formation of Article 18.2 of the Civil Code of Georgia in its current form&quot; was caused by the fact that the protection of personal non-property rights, despite their great importance for people, in Georgian reality It was characterized by certain difficulties at different stages of development, in particular after insult was decriminalized as a criminal offense, for some years, the Civil Code of Georgia did not allow the protection of honor, dignity and business reputation damaged by insult. The situation was partially corrected after the amendment of Article 18.2 of the Civil Code in 2004, and this norm allowed the possibility of using other legal acts in this regard. However, the &quot;Freedom of Speech and Expression&quot; law, as well as a number of other normative acts, did not fully resolve this problem, because it provides the opportunity to protect honor and dignity violated by insults only if face-to-face insults take place, which is why it is necessary the further improvement of the existing legislation.

**Key words** - personal, non-property, honor, dignity, secrecy, inviolability, protection.

## შესავალი

ადამიანის არსებობა წარმოდგენილია პირადი ურთიერთობების გარეშე. მათში კი მოიაზრება, როგორც ქონებრივი ისე არაქონებრივი სიკეთეები და პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად, კერძოდ: ა) არსებობისა და კეთილდღეობის უზრუნველმყოფი (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პირადი ხელშეუხებლობა) ფასეულობები; ბ) ინდივიდუალიზაციის უზრუნველმყოფი (სახელის უფლება, უფლება გამოსახულებაზე) ფასეულობები; გ) ინდივიდუალიზაციის ხელშემწყობი (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია) ფასეულობები; დ) ავტონომიის უზრუნველსაყოფად მიმართული (სახელის ტარების უფლებაში შეცილების და სხვისი სახელით უნებართვოდ სარგებლობის დაუშვებლობა, პირადი და ოჯახური საიდუმლოება, მეუღლეთა მიერ საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტა, დაქორწინებულ მეუღლეთა მიერ საქმიანობის არჩევის თავისუფლება, ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა მიერ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა) ფასეულობები.

ჩამოთვლილი პირადი ურთიერთობების დაცვის ხერხები და საშუალებები, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა სტადიაზე არაერთგვაროვანი იყო, თუმცა მათ ის საერთო ჰქონდათ, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა, საწყის ეტაპზე, თუ ძირითადად მორალურ-ზნეობრივი ნორმების საფუძველზე [1] აძლევდა შესაძლებლობას საზოგადოებას, თავად გადაეწყვიტა პირად ურთიერთობებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ ისინი თანდათან ჩაანაცვლა ჯერ ისეთმა საკანონმდებლო აქტებმა, რომლებიც არ მიჯნავდა ერთმანეთისგან სისხლის სამართლებრივ და სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო კიდევ უფრო მოგვიანებით პირადი, მათ შორის არაქონებრივი უფლებები დაცვის ობიექტებად იქცა სისხლის და სამოქალაქო სამართლის დარგობრივი კოდექსებისთვის.

თუმცა, თუ რა მდგომარეობა იყო ამ მიმართებით დარგობრივი კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტების შექმნამდე საქართველოში და როგორ განვითარდა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თაობაზე კანონმდებლობა, მანამ ამ ქვეყნის

სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლი, ამჟამად არსებული სახით ჩამოყალიბდებოდა, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომი, მიზნად ისახავს არსებული ვითარების შემდგომ დაგვირგობად გამოსწორებას, რისთვისაც გამოყენებულია ძირითადად ისტორიულ-შედარებითი სამართლებრივი კვლევის და დიალექტიკური მეთოდები, რაც იძლევა შესაძლებლობას პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის ამჟამად არსებული რედაქციით მიღებამდე თვალყური მივადევნოთ ამ მიმართებით კანონმდებლობის განვითარების კანონზომიერებას და მის კავშირს სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან.

შედეგები: ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა შემდეგი-მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან, ანუ იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს კაზუისტიკურ სამართლებრივ აქტებზე და კანონმდებლობა გაიყო კერძო და საჯარო სამართლის სფეროებად, პირადი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება თავის თავზე აიღო რა რამდენიმე, კერძოდ: სისხლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და ა.შ. სამართლის დარგმა, პირად ურთიერთობებთან დაკავშირებითაც თითოეულ მათგანს, საკუთარი ნორმებით მოწესრიგებული, მკაცრად განსაზღვრული რეგულირების სფერო და ობიექტი გააჩნია.

ამდენად, საჯარო და კერძო სამართლის გაყოფით, რაზედაც დიდი გავლენა იქონია ევროპაში განხორციელებულმა კოდიფიკაციის პროცესმა და მთელ რიგ (საფრანგეთი, ავსტრია, შვეიცარია და ა.შ.) ქვეყნებში შექმნილმა ეროვნულმა დარგობრივმა საკანონმდებლო აქტებმა სამოქალაქო სამართალს დამოუკიდებელი დარგის სტატუსი შესძინა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სამართლებრივ მემკვიდრეობას, უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა დაცვას დაქვემდებარებულ იმ ობიექტთა, მათ შორის პირად ურთიერთობათა ჩამონათვალის, განსაზღვრაში, რომლებიც უნდა გადანაწილებულიყო საჯარო და კერძო სამართლის სფეროებში.

მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო ძველ ქართულ სინამდვილეში დარგობრივი სამოქალაქო კოდექსი არ შექმნილა, თუმცა თავისი მდიდრული სამართლებრივი მემკვიდრეობიდან გამომდინარე, საქართველო იმ სახელმწიფოთა შორის იმსახურებს ადგილს, რომლებმაც არა მხოლოდ საკუთარი კანონმდებლობა შექმნეს, არამედ სხვა ხალხებსაც შეუქმნეს ან/და შეუწყვეს ხელი ისეთი სამართლებრივი ძეგლების შექმნაში, რომლებიც დღემდე რჩება მათ სავიზიტო ბარათად ასე მაგ. სომხური, იგივე „მხითარ გომის სამართალი,” თამარ მეფის ეპოქაში (XII-ე საუკუნის მე-II ნახევარში) შეიქმნა საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში, კერძოდ განძაში, და იმდენად დღევრძელი აღმოჩნდა, რომ საკუთარ სახელმწიფოებრიობას მონატრებულმა სომხებმა კილიკიაშიც კი წაიღეს და იქ არსებული სომხური სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად საკანონმდებლო აქტად აქციეს. ისევე, როგორც დიდია ებრაული, იგივე „მოსეს სამართლის” და ბერძნული, ანუ „კანონიკური სამართლის” ქართული ვერსიის შექმნასა და პოპულარიზაციის საქმეში საქართველოს როლი [2] მეტიც, მას შემდეგ, რაც ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და უწევდა ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისთვის, ქართველი სასამართლო პრაქტიკა ახერხებდა არსებული ტრადიციების შენარჩუნებას და ხელყოფილი პირადი უფლებების დაცვას [3].

თუმცა, მას შემდეგ რაც რუსეთმა სრულ პოლიტიკურ ბატონობას მიაღწია საქართველოში ქართულმა სამართალმა არსებობა შეწყვიტა [4] და ჯერ მეფის რუსეთის იმპერიის, ხოლო 1922 წლის დეკემბრიდან, ანუ საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, მისი კანონმდებლობის დანამატი გახდა.

რაც ფაქტობრივად გაგრძელდა საქართველოს ხელახლა დამოუკიდებლობის მოპოვებამდე (1991 წლის დეკემბერი), რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში (1918-წლის მაისი-1921 წლის თებერვალ-მარტი), საქართველოში გარკვეული კოსმეტიკური ცვლილებებით გამოიყენებოდა მეფის რუსეთის ანდა დროებითი მთავრობის დროინდელი საკანონმდებლო აქტები, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლამდე და შემდეგაც გარკვეული დროის მანძილზე, ანუ ვიდრე 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სხვა საკანონმდებლო

აქტები შეიქმნებოდა, მართალია ცვლილებებით, მაგრამ მაინც გამოყენებაში იყო საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად შექმნილი მოკავშირე რესპუბლიკების დარგობრივი კოდექსებისთვის დამახასიათებელი ნორმები [5].

საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახალი მოპოვებამ გაზარდა მოთხოვნილება პიროვნების უფლებებისა და ინტერესების დაცვისადმი, ვინაიდან მათი დაუცველობის შემთხვევაში იყო საშიშროება იმისა, რომ ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის იდეა განუხორციელებელი გახდებოდა და დამკვიდრდებოდა აზრის ტირანია, ანუ რეალურისგან განსხვავებული ისეთი ტირანია, რომელიც გვარგძნობინებს თავს მაშინ როცა ქვეყნის გამგებლები ერის აზროვნების საწინააღმდეგო წესრიგს ამყარებენ და მას უფრო ცხოველად გრძნობს ხალხი ვიდრე მისთვის ყველა კანონის წართმევას[6], რადგან ყალიბდება კანონზე მაღლა მდგომი კლასი თუ ფენა, იბლოკება გარკვეული ინფორმაცია, ხდება ცილისმწამებელთა წახალისება და აშ., რაც თავის მხრივ ამზადებს ნიადაგს რეალურ ანუ, მმართველობით ტირანიაში გადასასვლელად.

თანამედროვე საქართველოში პირადი უფლებების დაცვისადმი კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო იმით, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებად გამოაცხადა, მეტიც ამ კონსტიტუციის მე-17 მუხლმა, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალ უფლებებად აღიარა. რასაც მოჰყვა, როგორც არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, ისე მთელი რიგი ახალი საკანონმდებლო აქტების მიღება, რასაც უნდა უზრუნველყო პირადი უფლებების ეფექტური დაცვა, ასე მაგალითად, „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ 1991 წლის 10 აგვისტოს საქართველოს კანონის 25-ე მუხლი შეიცავდა დეფინიციას იმის შესახებ, რომ ყალბი ცნობების გავრცელებისთვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელებს, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) და მასალების ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი. მეტიც,

იგივე კანონის მე-20 მუხლის თანახმად მოქალაქეს ან ორგანიზაციას ჰქონდა უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მოეთხოვა რედაქციისგან პიროვნების შეურაცხმყოფელი მასალის უარყოფა (1-ლი პუნქტი) და სხვა.

თუმცა, არაერთი დადებითი ასპექტის მიუხედავად ეს კანონი ხასიათდებოდა მთელი რიგი ხარვეზებითა და ნაკლოვანებებით, რაც ხელს უშლიდა დაზარალებულს ეფექტურად დაეცვა ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლებები, ასე მაგალითად ამ კანონის 25-ე მუხლით, მართალია დასჯას უნდა დაქვემდებარებოდა მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პატივისა და ღირსების შელახვა, თუ ასეთს ადგილი ექნებოდა შეურაცხყოფისა და ცილისწამების გზით მაგრამ, როგორც ამას ადასტურებს იგივე კანონის 28-ე მუხლის შინაარსი, რედაქტორი (მთავარი რედაქტორი) და ჟურნალისტი რეალურად შეიძლება დასჯილიყო მხოლოდ არასწორი ცნობების გავრცელებისთვის, ანუ ცილისწამებისთვის. ამასთან, რეაგირების გარეშე იყო დატოვებული სინამდვილესთან შესაბამისი, მაგრამ პიროვნების შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევებიც (იხ. კანონის 20.3 მუხლი).

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების წინა პერიოდში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, კერძოდ: „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლში 1997 წლის 28 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აეკრძალათ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნება, სხვათა უფლებების, პატივისა და ღირსების ხელყოფა და აშ. ასევე, უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ისიც, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რომელიც იქმნებოდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით, თუკი სასამართლო დაადგენდა მისი შეჩერების უკანონობას, უფლება მიეცა მოეთხოვა და მიეღო, როგორც მატერიალური ისე მორალური ზიანის კომპენსაცია (12.3 მუხლი).

სამწუხაროდ ეს დადებითი ტენდენცია დიდხანს არ გაგრძელებულა რადგან „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლში შეტანილი ცვლილებებიდან 27 დღეში- 1997 წლის 25 ნოემბერს, ეს მუხლი

ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით - „მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.“ ეს ცვლილებები კი ანალოგიური იურიდიული შინაარსით აისახა 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი რედაქციის იმ ნორმებში, რომლებიც არეგულირებენ პირად ურთიერთობებს, კერძოდ, საქართველოს სკ-ის 18.2-ე, 18.3-ე და 18.4-ე მუხლებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლმა ამ შინაარსით იარსება 2004 წლის 24 ივნისამდე, ანუ ვიდრე #222 კანონით მასში ცვლილება არ შევიდა და არ ჩამოყალიბდა ამჟამად მოქმედი რედაქციით.

ამდენად, სკ-ის 2004 წლამდე და ამჟამად მოქმედი 18.2 -ე მუხლის შინაარსის ურთიერთ შედარება ცხადყოფს, რომ თავდაპირველი რედაქციით არსებული სკ-ის 18.2 მუხლი იძლეოდა სასამართლოს მეშვეობით მხოლოდ ისეთი ცნობების უარყოფის შესაძლებლობას, რომელთა გამავრცელებელიც ვერ დაამტკიცებდა სინამდვილესთან მათ შესაბამისობას. თანაც, კანონის ეს მოთხოვნა თანაბრად ვრცელდებოდა, როგორც პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ისე პირადი ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების ხელყოფის შემთხვევებზე [7].

ანუ, 2004 წლამდე მოქმედი 1997 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლით, ისევე, როგორც „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონით რეალურად შესაძლებელი იყო ამ ნორმაში ჩამოთვლილი პირადი არაქონებრივი სიკეთეებიდან მხოლოდ სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელებით ე.ი. ცილისწამებით შელახული პირადი არაქონებრივი უფლებების, კერძოდ პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო სამართლებრივი დაცვა. რაც წარმოადგენდა საქართველოს სსრ 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის შინაარსის გამეორებას [8].

თუმცა, სკ-ის 18.2 მუხლის შინაარსის თავდაპირველი სახით არსებობას გარკვეული გამართლება თუ ჰქონდა 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებამდე (2000 წლის 1 ივნისი), ანუ შეურაცხყოფის, როგორც დანაშაულის შესახებ 138-ე მუხლის არსებობის პირობებში, რადგან ქმედება



დაუსჯელი არ დარჩებოდა, ამ დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შემდეგ საქართველოში რეალურად დაუსჯელი დარჩა „დიფამიცია“ სრული მოცულობით, ვინაიდან „დიფამიცია“ (ლათინურად „diffamo“) გულისხმობს სახელის გამტეხ, შემარცხვენელ ცნობათა გახმაურებას. ასეთი ცნობები კი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცრუ, ანუ სინამდვილესთან შეუსაბამო, არამედ სინამდვილესთან შესაბამისიც და პირს ვისაც იგი ეხება არ ჰქონდეს მისი გამჟღავნების სურვილი.

ყოველივე ზემოთქმული კი თავის მხრივ, განაპირობებდა დაუსჯელობის სინდრომის არსებობას ქვეყანაში, რადგან პირს იქნებოდა იგი სახელმწიფო მოხელე თუ ქვეყნის რიგითი მოქალაქე არ ჰქონდა შესაძლებლობა დაეცვა პირადი ცხოვრების საიდუმლოება და საკუთარი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია თვით უმძიმესი შეურაცხყოფის არსებობის შემთხვევაშიც [9].

ეს მაშინ, როცა მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას არასოდეს უთქვამს პირადი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში მათ დაცვაზე და თუ აღნიშნულს ადგილი ჰქონდა შეურაცხყოფისა და ცილისწამების გზით ხელმყოფ პირთა არათუ სამოქალაქო არამედ სისხლის სამართლებრივი წესით დასჯაზეც ასე მაგ. გერმანიაში დანაშაულს წარმოადგენს და დასჯადია ფედერალური პრეზიდენტის შეურაცხყოფა (90-ე პარაგრაფი), სახელმწიფოსა და მისი სიმბოლოების შეურაცხყოფა (90<sup>ა</sup> პარაგრაფი), კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შეურაცხყოფა (90<sup>ბ</sup> პარაგრაფი), უცხო სახელმწიფოსა და მისი წარმომადგენლების შეურაცხყოფა (103-ე პარაგრაფი), რელიგიური საზოგადოების, რწმენისა და აღმსარებლობის შეურაცხყოფა (166-ე პარაგრაფი), ჩვეულებრივი შეურაცხოფა (185-ე პარაგრაფი), ურთიერთ შეურაცხყოფა (199-ე პარაგრაფი), რაც შეეხება პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ სპეციფიკურ დანაშაულს, როგორცაა ცილისწამება მას გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში დათმობილი აქვს 3 მუხლი, კერძოდ: ცილისწამება (186-ე პარაგრაფი), ცილისწამება წინასწარი განზრახვით (187-ე პარაგრაფი) და პოლიტიკურ მოღვაწეთა მიმართ ცილისწამება (188-ე პარაგრაფი); ჰოლანდიაში სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადია, როგორც ზეპირი და წერილობითი ცილისწამება ( 261-ე მუხლი), ისე უბრალო დიფამიციაც კი ანუ, შეურაცხყოფა (266-ე მუხლი); ანალოგიურად,

შეურაცხყოფა და ცილისწამება როგორც დანაშაული დასჯადია შვეიცარიაში (172 და 177-ე მუხლები), პოლონეთში (212 და 216-ე მუხლები), ბულგარეთში, ჩინეთში იტალიაში [10] ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, რუსეთში და აშ [11].

შესაბამისად, პატივისა და ღირსების ხელმყოფი ქმედებებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებზე უარის თქმა უფრო პოლიტიკური მოტივებით უნდა აიხსნას და არა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობასთან შეუთავსებლობის აღმოფხვრის აუცილებლობით.

ამასვე ადასტურებს ის, რომ თუ სკ-ი 18.2-ე მუხლი მასში შეტანილი ცვლილების შედეგად, რადგან პირს მიეცა სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით საკუთარი პატივის, ღირსების და აშ დაცვის შესაძლებლობა, ანუ, ეს ნორმა გახდა რა ბლანკეტური დაუშვა სხვა ისეთი საკანონმდებლო აქტების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებმაც სასამართლოს მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. ხოლო კანონში ეს ჩანაწერი, რომ ფიქციად არ დარჩენილიყო 2004 წელს მიღებული იქნა კიდევ სპეციალური კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ,“ რამაც გამოასწორა არსებული მდგომარეობა, რადგან გააფართოვა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის გეოგრაფია იმით, რომ დაუშვა ცალკეულ შემთხვევებში ცილისწამებით, უხამსობით და პირისპირ შეურაცხყოფილი ისეთი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა, როგორცაა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

თუმცა, ეს კანონი თავისი შინაარსით, ვინაიდან ერთობ რთული და გარკვეულწილად ბუნდოვანია თავად ამ კანონის მე-2 მუხლით განისაზღვრა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის ინტერპეტირება უნდა მოხდეს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისადაც.

## დასკვნა

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა სხვადასხვა მიზეზთა გამო, ქართულ სინამდვილეში გარკვეული სირთულეებით ხასიათდებოდა და დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო, იმისთვის, რომ საქართველოს კანონმდებლობას მეტნაკლებად გადაეჭრა ეს პრობლემა, რაშიც დიდია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.2-ე მუხლში 2004 წელს განხორციელებული ცვლილების როლი, რადგან იგი, სამოქალაქო კოდექსის გარდა მთელი რიგი სხვა საკანონმდებლო აქტების (მაგ. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი, „ჯანმრთელობის შესახებ“ კანონი და აშ.) გამოყენების შესაძლებლობასაც უშვებს, რითაც პირს შეუძლია დაიცვას თავისი ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლებები თუმცა, კვლავაც პრობლემად რჩება შეურაცხყოფით ხელყოფილი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის სრული მოცულობით დაცვა, რის გამოც მიზანშეწონილია ამ მიმართებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

## ლიტერატურა

1. Проф. И. Екштейн. Честь ВЪ ФилософиИ и ВЪ правь. Петервургъ. 1895.გვ.14.
2. მონიავა პ(თ). შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”. თბილისი. 2013 წელი. გვ.37-46;
3. ბოროზდინი კ. „სამეგრელო და სვანეთი 1854-1861. მეორე გამოცემა. თბილისი. 2004 წ. გვ. 261.
4. მონიავა პ(თ). პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით). გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი. 2005 წელი. გვ.88-116.
5. მონიავა პ(თ). იგივე ნაშრომი.გვ.117-125, იქვე,გვ. 126 -150; ასევე „შესავალი საქართველოს სამოქალაქო ზოგად ნაწილში“. თბილისი. 2013 წელი. გვ. 24-62.

6. მონტესკიე შარ ლუი. „კანონთა გონი.“ (დ. ლაბუჩიმის თარგმანი). თბილისი. 1964 წელი. გვ. 55.
7. მონიავა პ(თ) „შესავალი საქართველოს სამოქალაქო ზოგად ნაწილში“. თბილისი. 2013 წელი. გვ. 125.
8. მონიავა პ(თ). იგივე ნაშრომი. გვ. 201.
9. მონიავა პ(თ). პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით). გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი. 2005 წელი. გვ.136.
10. მონიავა პ(თ). „რელურად დაცულია თუ არა საქართველოს მოქალაქეთა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.“ ჟურნალი „სამართალი.“ 2003 წლის #1-2. გვ.50-53.
11. მონიავა პ(თ). პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში.” გამომცემლობა „მერიდიანი.“ თბილისი. 2004 წელი. გვ. 31-33, 50.
12. მონიავა პ (თ). იგივე ნაშრომი. გვ. 40-41; 41-49; 82-83.